საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 448/ს
09/11/2022

448-21-4-202211091646

ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებში, სს „ვინდ ფაუერის“ 210 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურისა და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 3.9 და 3.4 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებში, სს „ვინდ ფაუერის“ 210 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურისა და 220 კვ ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 64;
2. სს „ვინდ ფაუერი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 64 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ვინდ ფაუერს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ვინდ ფაუერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო